# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

# ო ქ მ ი № 18

**სხდომის ჩატარების დრო:**

**26 აპრილი, 2023 წელი**

**სხდომის ჩატარების ადგილი:**

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეთვრამეტე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.**

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, კ.გურული, ე.არჩაია.

**სულ: 34 წევრიდან - 18 წევრი.**

**<u>შენიშვნა:</u> საკრებულოს ერთ წევრს, ბატონ ბესიკ ბრეგაძეს (საკრებულოს მაჟორიტარი წევრი) 2022 წლის 29 დეკემბრიდან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №158 განკარგულებით შეუწყდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.**

**არ ესწრებოდნენ:** საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

**სულ: 16 წევრი.**

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი დ.ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღების, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი გ.კუჭუხიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი ვ.სილაგაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე გაკეთდა **განცხადებები:**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „გვიახლოვდება ქალაქის მნიშვნელოვანი გვირილობის დღესასწაული. მინდა ჩვენს საზოგადოებას, მოქალაქეებს მოვუწოდო, რომ მაქსიმალულად ჩაერთონ ამ ღონისძიებაში. საკმაოდ კარგი განრიგი და დღის წესრიგი გვაქვს კულტურული და საკონცერტო ღონისძიებებით დატვირთული. მინდა ყველა მოქალაქეს ვთხოვო ჩართულობა. მოგეხსენებათ, ასევე, გვეყოლება სტუმრები: ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ელჩები, სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები. ვფიქრობ, ეს ღონისძიება იქნება კარგი და სამაგალითო. "

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პოლიტიკური პარტია „მესამე ძალა"): „მოგესალმებით კოლეგებო, მივესალმები დამსწრე საზოგადოებას. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კოლეგებისა და ჩემი ამომრჩევლების სახელით მადლობა გადავუხადო წყალკანალის ხელმძღვანელს, ბატონ ალექსანდრე მებურიშვილს. რამდენიმე პრობლემა იყო გაჟღერებული მოქალაქეების მხრიდან. ბატონ ალექსანდრეს ვთხოვეთ დახმარება, კონკრეტულად გაჭედილი იყო საკანალიზაციო ქსელი კორპუსებში და სულ რაღაც ერთ-ორ საათში მოხდა რეაგირება და პრობლემა აღმოფხვრილ იქნა. მინდა ამ თანამშრომლობისთა და ოპერატიულობისთვის მას ჩემი ამომრჩევლებისა და ჩემი სახელით გადავუხადო მადლობა."

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ჩვენ საკმაოდ კარგი მაგალითი გვაქვს ქუთაისის წყალკანალთან თანამშრომლობის. მეც შემიძლია დავასახელო არაერთი საკმაოდ ეფექტური რეაგირება ამ კომპანიის მხრიდან."

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-18 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-18 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

3. „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,

მოქალაქეების: მზია კირკიტაძის, გიორგი შარვაშიძის, ინგა ხაჭაპურიძის, ალექსანდრე ხუჯაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მედინიუსისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის №375 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის

მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

7. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის №102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) მარშრუტებზე მომსახურების გამწევ კომპანიებზე, 2021 წლის 8 თებერვლიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში და 2022 წლის განმავლობაში ნებართვის გაცემის ფასის გადაუხდელობით არსებული დავალიანებების 2023 წლის ბოლომდე განწილვადებით გადახდის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

**წარმოდგენილი დღის წესრიგის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** საკრებულოს მე-18 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს

18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-18 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, მ.რიჟამაძე,

გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №183** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განცხადებები:**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ი.შენგელია:** „ბიუროს სხდომაზეც გაჩნდა კითხვები და მინდა რამდენიმე საკითხზე გავამახვილო ყურადღება. ჩვენ ყველა სხდომაზე გვიწევს გეგმასა და ნუსხაში ცვლილებების შეტანა. მოქალაქეებს კარგად რომ ესმოდეთ, მაინტერესებს, რამდენია ჩვენი პრივატიზაციის გეგმა წლევანდელ ბიუჯეტში და რამდენია სამი თვის შესრულება ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვ.სილაგაძე:** „პრივატიზების გეგმა შეადგენს 9 მილიონ ლარს. დღევანდელი მდგომარეობით უკვე ჩარიცხულია 1164321 ლარი და მისაღები გვაქვს 1166470 ლარი.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „მისაღები რას ნიშნავს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვ.სილაგაძე:** „ჩატარებულია აუქციონები და ველოდებით ჩარიცხვებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს დაახლოებით ერთ თვეში.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „სამსახურს თუ აქვს შესწავლილი ძირითადად რა ქონებებზეა მოთხოვნა ბიზნესის მხრიდან?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვ.სილაგაძე:** „ძირითადად მოთხოვნა არის როგორც მცირე,

ასევე, დიდი ზომის მიწის ნაკვეთებზე, რომლებითაც ძირითადად დაინტერესებულია ბიზნესი.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „დიდი მიწის ნაკვეთებში რას გულისხმობთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვ.სილაგაძე**: „1000 $მ^2$ და მეტი.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „რა ტიპის ბიზნეს აქტივობა გვაქვს ამ მიმართულებით, თუ გაქვთ შესწავლილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვ.სილაგაძე:** „ძირითადად, ეს ბიზნეს აქტივობები ეხება ქალაქის მასშტაბით სატრანსპორტო საშუალებებისა და სავაჭრო ობიექტების განთავსებას. მაგალითად, რამდენიმე ხნის წინ მოხდა ქონების გასხვისება ნიკეას ქუჩაზე და დღეს იქ ფუნქციონირებს პურის ქარხანა.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „რამდენადაა დაინტერესებული სამშენებლო სექტორი, სტატისტიკურად როგორი მონაცემებია? კონკრეტული სტატისტიკა შეიძლება არ გქონდეთ, მაგრამ გამოცდილებით და დაკვირვებით როგორი მონაცემები გაქვთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვ.სილაგაძე:** „სტატისტიკური მონაცემები ნამდვილად არ

გვაქვს, ვინაიდან, როდესაც შემოდის მოთხოვნით დაინტერესებული პირი, არ არის ვალდებულება განმარტოს რისთვის იძენს აღნიშნული მიწის ნაკვეთს.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „როგორ ფიქრობთ, რამდენი პროცენტია დეველოპერული აქტივობის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვ.სილაგაძე:** „დაახლოებით 5%-დან 10%-მდე.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ანუ გასხვისებული ქონების 10%-ზე ხდება მხოლოდ და მხოლოდ ბინათმშენებლობაა?“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ჩვენ გვაქვს სხვა ინფორმაცია. ვიცით, რომ ქალაქში აქტიურად მიმდინარეობს ბინათმშენებლობის პროცესი და თქვენ რასაც ამბობთ, ის პროცენტი ძალიან დაბალია. რეალურად ინტერესი მეტია. ამ დაბალი პროცენტის მაჩვენებელის მიზეზი უნდა ვეძებოთ ჩვენს თავში და თვითმმართველობაში კონკრეტული სამსახურების საქმიანობის მიმართულებით, იმიტომ, რომ 9 მილიონი ლარის შესრულების ნაწილი საკმაოდ ამბიციური გეგმაა და ვფიქრობ, ამ მიწებსა და ქონებებზე მოთხოვნა რომ გაიზარდოს, ერთ-ერთი საშუალებაა წახალისდეს პროექტები, რომლებიც უკავშირდება ბინათმშენებლობას. ჩვენთან არსებული ინფორმაცია არის სხვაგვარი. ძალიან დიდია აქტივობა დეველოპერების მხრიდან კონკრეტული ბიზნესის განვითარების მიმართულებით. ეს არის ერთგვარი საშუალება ქალაქისთვის. გარდა იმისა, რომ იქმნება ახალი საბინაო ფონდი და ახალი საცხოვრებელი სივრცეები, მნიშვნელოვანია გაიზარდოს ეკონომიკა ქალაქში. კარგი იქნება თუ თქვენი სამსახური შეისწავლის რა კატეგორიის ქონებებზეა მოთხოვნა თვითმმართველობაში. კარგი იქნება თუ დეველოპერული მიმართულებებით გექნებათ ჩართულობა, აქტიურად შეხვდებით ამ სფეროს წარმომადგენლებს და გექნებათ ინფორმაცია რა სახის გამოწვევები აქვთ მათ

ადგილობრივ დონეზე. მე ვფიქრობ, აღმოაჩენთ ბევრ სხვა საკითხს, რაც ქალაქისთვის და ამ სფეროს განვითარებისთვისაა საჭირო. ჩემი მოწოდება იქნება კარგად დავაკვირდეთ, გავაკეთოთ ანალიზი, სტატისტიკა და ამ სექტორს მაქსიმალურად დავუჭიროთ მხარი, მათ შორის, სამსახურებრივი თანამშრომლობით, რომელიც უნდა ხდებოდეს ადგილობრივ დონეზე. ამ სექტორს უწევს ბიუროკრატიის გადალახვა და დიდი ხნის ლოდინის შემდეგ სამშენებლო ნებართვების მოპოვება. ამიტომ, ძალიან კარგი იქნება თუ ჩაერთვებით ამ პროცესშიც და უფრო მეტი იქნება თანამშრომლობა ადგილობრივ სტრუქტურებთან მიმართებით. განვმეორდები, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქალაქის ეკონომიკისთვის, მოსახლეობის დასაქმებისთვის და იმ ამბიციური 9 მილიონიანი გეგმის შესრულებისათვის ბევრი უნდა გავაკეთოთ. ვფიქრობ, თქვენი სამსახურის მხრიდან კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი. რაც შეეხება საკრებულოს, ამაში მაქსიმალურად მოვახდენთ ჩართულობას, დაგიდგებით გვერდით. შესაბამისი დარგობრივი კომისიები მზად არიან თქვენთან ერთად ეს საკითხი უზრუნველყონ და განიხილონ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „როდესაც დგება ობიექტების საპრივატიზაციო ნუსხა, თუ არსებობს პრიორიტეტები ამა თუ იმ მიწის ნაკვეთებზე ან შენობა-ნაგებობებზე. მაგალითად, რა უნდა ქალაქს, რომ გაკეთდეს პირველ რიგში. პრიორიტეტული იყოს ის ობიექტები, სადაც გაკეთდება ისეთი რამ, რაც მოუტანს ქალაქს შემოსავალს. ეს არ იქნება გასხვისებისას მიღებული ერთჯერადი შემოსავალი, არამედ, ეს წლების განმავლობაში მოიტანს დოვლათს ბიუჯეტში. მაგალითად, თქვენ ახსენეთ, რომ ნიკეას ქუჩაზე გაიხსნა პურის ქარხანა, ჩემი აზრით, ეს არის ძალიან კარგი, ვინაიდან, იქ დასაქმდა ხალხი, ბრუნავს ფული და დოვლათი შედის ჩვენი თანაქალაქელების ოჯახში. კარგია მსგავსი პრიორიტეტები თუ გვაქვს და თუ გავამარტივებთ ამ ბიუროკრატიულ პროცესსაც.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პოლიტიკური პარტია „მესამე ძალა“)**:** „დაახლოებით იგივე შინაარსის წინადადება მაქვს. აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონ დიმიტრის და ეს აზრი ახლა არ დამბადებია.

როდესაც ქალაქის ტერიტორიაზე ვმოძრაობ, ვუკვირდები ჩვენ რა პრაქტიკული სურათი გვაქვს. მაგალითად, შენდება კორპუსი, სადაც დასაქმებულია ხალხი, მაგრამ ეს არის მაქსიმუმ ორწლიანი პროცესი. მშენებლობის დასრულების შემდეგ ფართს იძენს მოქალაქე, ძირითადად შეძენა ხდება ემიგრანტების მიერ და ამით სრულდება პროცესი. კარგი იქნება თუ ჩვენ ავიღებთ ორიენტირს საწარმოებზე, რომლებიც 2 და 3 წელი კი არ მოგვიტანს მარტო მოგებას, არამედ, მოგვიტანს შემოსავალს გრძელვადიანი პროგნოზით. კარგია თუ ეს იქნება ინიცირებული და წახალისებული, რათა ქალაქში დასაქმდეს ხალხი და მეტი შემოსავალი შემოუვიდეს ქალაქს, ვიდრე აშენდეს კორპუსი, იქ დასახლდეს ხალხი, დამთავრდეს ამით ტრანზაქცია და შემოვიდეს მხოლოდ კომუნალური გადასახადები. ქალაქს ამით გაუჩნდება შემოსავლისა და დასაქმების წყარო. კარგი იქნება თუ ვიფიქრებთ მცირე საწარმოების განვითარებაზე და წახალისება ამ მიმართულებით არ იქნება ნაკლებ საინტერესო."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.კოსტავა**: „ბატონი დიმიტრი და ბატონი კობა ძალიან მნიშვნელოვან საკითხს შეეხნენ. მეც მექნებოდა კითხვა თუ რა სტრატეგია გვაქვს ინვესტორებთან დაკავშირებით და რას ვთავაზობთ მათ იმისათვის, რომ თუნდაც სამეწარმეო მიმართულებით დაინტერესდნენ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ სხვა სტრატეგიით უნდა ვიმუშაოთ ინვესტორებთან ამ მიმართულებით. მაინტერესებს ვისთან ვთანამშრომლობთ ამ ეტაპზე და ვის მოვიაზრებთ კონკრეტულ უბნებში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზ.მამასახლისი:** „თუ ჩვენ ვაპირებთ ბიზნესის წახალისებას, მაშინ უნდა გამოიკვეთოს პრიორიტეტები. მიწებს, რომლებიც გვექნება შეტანილი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში, მათ ფასებიც შესაბამისად დაბალი უნდა ჰქონდეს თუ ვინმე აპირებს იქ ქარხნის ან ფაბრიკის აშენებას. ვხედავთ, როგორი მიგრაციაა და გაედინება ახალგაზრდები ქვეყნიდან. იქნებ, დავაკავოთ ისინი და დასაქმდნენ როგორც ამ ქარხნების მშენებლობის პროცესში, ისე შემდეგაც. ცალკე თემაა მათი პროფესიონალიზმი. იქნებ მივცეთ განათლება, რომ ბევრი სპეციალისტი გვყავდეს. უკვე პრობლემაა კარგი მშენებელი, დურგალი, მლესავი. ცალკე მინდოდა თქვენთვის

მეკითხა, მაგრამ აქ გკითხავთ. რამდენიმე ხნის წინ შეძენილია მიწის ნაკვეთი შენობით. მფლობელს უნდა გაყიდოს ეს შენობა, მაგრამ ცალკე ვერ ყიდის, ვინაიდან მიმაგრებულია მიწაზე და ამისთვის ესაჭიროება მერიიდან ნებართვა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვ.სილაგაძე:** „აღნიშნული ცვლილება კანონში შევიდა ორი წლის წინ. საჯარო რეესტრი მიწის ნაკვეთის მფლობელს პირდაპირ თხოვს შეთანხმებას, რამდენადაა შესაძლებელი ამ მიწის ნაკვეთის გამიჯვნა შენობისგან არქიტექტურის თვალსაზრისით და ამიტომ ითხოვს თანხმობას მერიიდან."

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „თვითმმართველობის კოდექსიდან გამომდინარე გვაქვს შესაძლებლობა თვითმმართველმა განკარგოს მისი ქონება თავისი შეხედულებისამებრ. თუმცა, გარდა სხვა შესაძლებლობებისა, რომელიც სამთავრობო სტრუქტურებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას გააჩნია, არის შესაძლებლობა ადგილობრივმა ხელისუფლებამ პირობის ფორმის ჩამოყალიბების დროს კერძო სუბიექტს ან ბიზნესს შესთავაზოს რაიმე კონკრეტული ქონება თავისი პირობით და ამ პირობის ჩამოყალიბება უნდა მოხდეს სწორედ სამსახურის მიერ ბიზნესის მოთხოვნებიდან გამომდინარე. როდესაც ვსაუბრობთ დეველოპერულ ნაწილზე, არ ვსაუბრობთ მხოლოდ ბინათმშენებლობაზე. საუბარია იგივე ტურისტული ინფრასტრუქტურის, სასტუმრო ქსელის განვითარებაზე და ასე შემდეგ. ეს პროცესი უშუალოდ დაკავშირებულია იმ აქტივობებთან, რაც სტატისტიკურად ქუთაისში რეალურად გვაქვს და ჩემი მოთხოვნა და მოწოდებაც არის ის, რომ ეკონომიკის სამსახურმა კარგად შეისწავლოს თუ რა ინტერესი აქვს დღეს ბიზნესს, რა ინტერესია დღეს ქალაქში, რა შესაძლებლობები აქვს ამ მხრივ თვითმმართველობას, რათა მხარი დაუჭიროს ბიზნეს სექტორს. მე არ ვსაუბრობ რაიმე კონკრეტული მიმართულების პრიორიტეტულობაზე, მაგრამ, როდესაც აქტივობას ვხედავთ სტატისტიკურად, ჩვენ კიდევ უფრო მეტი ჩართულობა უნდა მოვახდინოთ. ასევე, დღეს ჩვენ გვაქს ძალიან გამართული ორგანული კანონი, რომელიც ადგილობრივ

თვითმმართველობას, იგივე სამშენებლო ნებართვების სახით, ძალიან მოქნილ საშუალებებს აძლევს. წინა უკვე ნათლადაა გამოხატული სად, როგორ და რა შესაძლებლობები გააჩნია ქალაქს განვითარების მხრივ. სად შეიძლება იყოს მიზიდულობის ცენტრები, იქნება ეს ადმინისტრაციული მიზიდულობა, განათლების მიზიდულობა, ქალაქის ეკო განვითარების, სამშენებლო-დეველოპერული განვითარების თუ სხვა. სწორედ აქედან გამომდინარე მინდა ვუთხრა აღმასრულებელ რგოლს, შესაბამის სამსახურს, რომ კარგად შეისწავლოს რა მოთხოვნებია დღეს და ამის მიხედვით დავუჭიროთ მხარი. 5% და10% მე ვფიქრობ, არ არის ის სურათი, რაც ასახავს რეალობას. რეალურად არის სხვა მოთხოვნა და სხვა შედეგი. ბევრად უფრო დიდია ეს მოთხოვნა და მე ვფიქრობ, სცდება 50%-ს. ამ პირობებში სამსახურებს უნდა გქონდეთ მჭიდრო ურთიერთობები, ითანამშრომლოთ ერთმანეთთან და ეფექტურად მოახდინოთ ამ ბიზნესის პირობებისა და მოთხოვნების რეალიზება. კონცეფციაშიც ნათლადაა ასახული რა არის ამ ქალაქის შესაძლებლობები. ამიტომ, აქედან გამომდინარე, თქვენ უნდა გქონდეთ თქვენი სტრატეგია. არსებობს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. ახლა როგორც ვიცი „USAID“-თან ერთად მუშავდება ქალაქის განვითარების სტრატეგია, ეს იქნება მნიშვნელოვანი და დავსახოთ გეგმები თუ რა მიმართულებით ვფიქრობთ ამ ქალაქის განვითარებას, რა ბიზნესს დავუჭერთ აქტიურად მხარს, რომელი ბიზნესის განვითარებას შევუწყობთ ხელს და ასე შემდეგ. არის ბევრი ქონება, რომელსაც ასხვისებს სახელმწიფო. აქედან მუნიციპალიტეტს ექნება თავისი შემოსავალი. აღნიშნული დეცენტრალიზაციის პირობებში, სამწუხაროდ, მცირეა ის მარჯა, რასაც თვითმმართველობა იღებს, თუმცა, ეს ციფრი გაიზარდა უკანასკნელი ცვლილებებით და თუ გვეკუთვნოდა 20%, დღეს უკვე საუბარია 25%-ზე. ეს დეცენტრალიზაციის საკითხია, მათ შორის ქონებრივი დეცენტრალიზაციის. მას შემდეგ, რაც  თვითმმართველობები იქნება ძლიერი, მე ვფიქრობ, რომ დეცენტრალიზაციის შეუქცევადობის საკითხი აქ არ განიხილება და მაქსიმალური დეცენტრალიზაციის პირობებში თვითმმართველობას, როდესაც ექნება ქონების ნაწილში სრული პასუხისმგებლობა აღებული, ალბათ, კიდევ უფრო ეფექტურად მოვახდენთ ჩვენ ქონებებზე მიზნობრივი რეალიზაციის გათვალისწინებას. ვფიქრობ, საჭირო და მნიშვნელოვანი დისკუსია გამოგვივივდა.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №184** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 26 აპრილის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის დანართის 52-ე, 63-ე, 64-ე და 89-ე პუნქტების გასწვრივ, მე-4 გრაფაში ჩაიწერა ქონების საჯარო რეესტრის ამონაწერების ნომრები; 55-ე პუნქტის გასწვრივ, მე-5 გრაფიდან (ქონების მისამართი) ამოღებულ იქნა ფრჩხილებში არსებული ჩანაწერი: „(ტროტუარი)“; 65-ე პუნქტის გასწვრივ, მე-5 გრაფიდან (ქონების მისამართი) ამოღებულ იქნა ფრჩხილებში არსებული ჩანაწერი: „(ემბავუდი)“; 66-ე პუნქტის გასწვრივ, მე-5 გრაფიდან (ქონების მისამართი) ამოღებულ იქნა ფრჩხილებში არსებული ჩანაწერი: „(ვერცხლისფერი)“; 67-ე პუნქტის გასწვრივ, მე-5 გრაფიდან (ქონების მისამართი) ამოღებულ იქნა ფრჩხილებში არსებული ჩანაწერი:**

**„(ვისოლის მხარეს მოთეთრო)“; 65-ე პუნქტის გასწვრივ, მე-5 გრაფიდან (ქონების მისამართი) ამოღებულ იქნა ფრჩხილებში არსებული ჩანაწერი: „(ლელო)“),** ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა**.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

ცვლილებები იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის **№185 განკარგულების** პროექტში.

(„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ **განკარგულება №185** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მზია კირკიტაძის, გიორგი შარვაშიძის, ინგა ხაჭაპურიძის, ალექსანდრე ხუჯაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მედინიუსისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 26 აპრილის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილის ნომერი და თარიღი),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა**.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის **№ 186 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მზია კირკიტაძის, გიორგი შარვაშიძის, ინგა ხაჭაპურიძის, ალექსანდრე ხუჯაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მედინიუსისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება № 186** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 26 აპრილის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ მუხლში სიტყვის: „ქონების“ წინ, ჩაემატა სიტყვა: „უძრავი“; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილის ნომერი და თარიღი.),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი

თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა**.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის **№ 187 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №187** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი**

**ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის №375 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 26 აპრილის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ მუხლში სიტყვის: „ქონების“ წინ, ჩაემატა სიტყვა: „უძრავი“; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტი გასწორდა სტილისტურად; განკარგულების პროექტის პირველი მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „შეიცვალოს განკარგულების დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.“; განკარგულების პროექტის პირველი მუხლის მეორე პუნქტში არსებული გადასაცემი ქონების ჩამონათვალი, პროექტს დაერთო დანართის სახით შემდეგი სათაურით: „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი“; გადასაცემი ქონების ჩამონათვალის მე-13 პუნქტის გასწვრივ, მე-2 გრაფაში დაზუსტდა მისამართი საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად და გმომდინარე აქედან, მისამართი ჩაიწერა შემდეგი რედაქციით: „ქალაქი ქუთაისი, ლადო ასათიანის ქუჩა, №147-ის დასავლეთით“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

ცვლილებები იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის **№188 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის №375 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება № 188** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის №102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 26 აპრილის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ მუხლში სიტყვის: „ქონების“ წინ, ჩაემატა სიტყვა: „უძრავი“; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტი გასწორდა სტილისტურად; განკარგულების პროექტის პირველი მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „შეიცვალოს განკარგულების დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით. განკარგულების პროექტის პირველი მუხლის მეორე პუნქტში არსებული გადასაცემი ქონების ჩამონათვალი, პროექტს დაერთოს დანართის სახით შემდეგი სათაურით: „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა**.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის **№189 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის №102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №189** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-8 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) მარშრუტებზე მომსახურების გამწევ კომპანიებზე, 2021 წლის 8 თებერვლიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში და 2022 წლის განმავლობაში ნებართვის გაცემის ფასის გადაუხდელობით არსებული დავალიანებების 2023 წლის ბოლომდე განწილვადებით გადახდის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და

ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სიმონიძე, მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) მარშრუტებზე მომსახურების გამწევ კომპანიებზე, 2021 წლის 8 თებერვლიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში და 2022 წლის განმავლობაში ნებართვის გაცემის ფასის გადაუხდელობით არსებული დავალიანებების 2023 წლის ბოლომდე განწილვადებით გადახდის თაობაზე“ **განკარგულება №190** ოქმს თან ერთვის)

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-18 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს მე-18 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-18 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 12:08:33 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.